პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე
რედაქც. მისამართი:
ხაზ. სამხ. კ-ს შენ. პირ. ს. რთ. რუსთაველის პრ. № 31

პარასკ. 19 იანვარი
1923-წ
წელიწადი მესამე

№ 195 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 195

განცხადება

გაზ. „წითელ-არმიელის“ რედაქცია სთხოვს ყველა ამხანაგ ასოთამწყობებს, რომელნიც ამ ჟამად იმყოფებიან ქართულ წითელ ჯარის ნაწილებში გვაცნობონ რედაქციაში თავისი გვარი, სახელი და მისამართი.

ნუ შეასუსტებთ გაზეთისთვის დახმარების აღმოჩენას.

ჩვენი გაზეთი ისევ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

მართალია ჩვენს პირველ მიწოდებას გაზ. „წითელ-არმიელისთვის“ დახმარების აღმოჩენის შესახებ, ჩვენი ლაშქრის ზოგიერთი ნაწილები გამოეხმაურენ და უნდა ითქვას სიმართლე გამოეხმაურენ გულ-მხურვალეთ, მაგრამ იმ ხარჯებთან შედარებით, რომელიც საჭიროა დღეს ჩვენს გაზეთს ამ სიძვირის ხანაში, ეს დახმარება წვეთია ზღვაში.

მეტ-ნაწილად დღემდის ჩვენ გაზეთს დახმარება გაუწია თბილისის გარნიზონმა, რომელმაც თითქმის 100,000,000 მანეთამდის გაიღო და, რომელიც დღესაც ენერგიულად მუშაობს შემოწირულებების შესაკრებათ და ოდნავათაც არ ემჩნევა ტენდეცია ამ შემთხვევაში დასუსტების, მაგრამ პროვინციაში მყოფ ჩვენს ნაწილებს ჯერ-ჯერობით არავითარი აქტივობა არ ეჩნევათ დახმარების შეკრების შესახებ. ეს კი რას ნიშნავს? არ ვიცით... არც სამხკომები ამბობენ, რაიმეს თუ, როგორ ტარდება გაზეთის დამხმარე კომპანია რაიც არ უნდა მიეტევოს მათ.

საჭირო კია, რომ როგორც თბილისის გარნიზონმა ქნა ეს, ისე პროვინციელი ნაწილებიც გამეხმაურებოდნენ ჩვენს მოწოდებას და თავისი წვლილის გაღება არ დაეზარებიათ თავის გაზეთისთვის, რომელიც უფასოთ ეგზავნებათ მათ.

აგრეთვე საჭიროა ამხ. სამხკომების ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას.

როგორც ვიცით სამხედრო სარევოლიუციო საბჭოს დადგენილებით ყველა შეფების შემოწირულებების ათი პროცენტი უნდა გამოეგზავნათ გაზ. „წითელ-არმიელის“ დასახმარებლათ. მაგრამ დღემდის ეს ოდნავათაც არ გატარებულა ცხოვრებაში. ამისათვის ჩვენ კიდევ, ჩვენი გაზეთის ინტერესი და მისი მძიმე მატერიალურ პირობებში ყოფნა, გვაიძულებს მივმართოთ ჩვენი ლაშქრის ყველა სამხკომებს რათა შეფებიდან მიღებული დახმარების ათი პროცენტი გადმოუგზავნონ რედაქციას, ხოლო პროვინციებში მყოფ ნაწილებს კი ევალებათ, თუ დღემდის არა, დღეის შემდეგ მაინც მოკიდონ ხელი შემოწირულებების შეკრებას. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ „წითელი არმიელი“ ერთად ერთი გაზეთია ქართულ ენაზე ჩვენი წითელ-არმიელების გონების გასავითარებლათ და მისი უსახსრობის გამო დახურვა, ან დროებით შეჩერება, ნიშნავს ჩვენი ლაშქრის პოლიტ-კულტურულათ განვითარების შენელებას.

მაშ ამხანაგო წითელ-არმიელებო, სამხკომებო და ყველა პოლიტ-მუშაკნო, ისმინეთ კვლავ მოწოდება თქვენი გაზეთის და ეცადეთ ყოველმხრივ დაეხმაროთ მას ამას გთხოვთ გაზ. წითელ-არმიელი“ რადგან ამასვე თხოულობს ჩვენი ახალგაზრდა ლაშქრის აღზრდა განვითარების ინტერესები.

კონფერენციის შემდეგ.

8 დღე გრძელდება ქართული დივიზიის საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაკთა პირველი გაერთიანებული კონფერენცია.

საფუძვლიანი მოხსენებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კონფერენციაზე გაირჩა ოცდა სამი საკითხი და ხუთი საკითხი, რომელიც აღიძრა მუშაობის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენცია იყო მეტად საქმიანი და ყველა საპოლიტ-განმანათლებლო საკითხები, რომელნიც არ იყვნენ გარკვეულნი კონფერენციამდე, კონფერენციაზე გამოირკვა და ეხლა შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ მუშაობა დადგება სწორ და მტკიცე გზაზე, რომელიც დასახულია კონფერენციის რეზოლიუციებში. დელეგატები კმაყოფილნი გაკეთებული საქმის შეგნებით დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებზე, რომელნიც არიან აღჭურვილნი მტკიცე სურვილით შეუდგენ იმ დიდ მუშაობას, რომლის შესრულებაც მათ ავალებს კონფერენციის დადგენილებები. მეტი აქტიურობა, მეტი ძიება ახალი ფორმებისა სკოლის გარეშე განათლების მუშაობის საქმეში. მეტი მჭიდრო კავშირი პოლიტსაათისა, კლუბებსა და ბიბლიოთეკებს შორის. მთელი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული საკლუბო მუშაობის ფრონტისაკენ, ვინაიდან მას შეუძლია უფრო ბევრი ნაყოფის მოტანა წ. არმიელთა პოლიტ აღზრდის საქმეში.

სერგო.

გაზ. „წითელ-არმიელი“ს ქვირეული

გაზ. „წითელ არმიელის“ ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირეს ჯამაგირებიდან პროცენტების გადადებით, თუ ფასიანი საღ. მოწყ.:

1. საკომენდანტო გუნდმა: რვაას ოცი ათასი მანეთი (820.000 მ.)
2. საკავშირო ასეულმა: ერთნახევარი მილიონი მანეთი (1,ნახ. მ.)
3. თბილისის მკ. მხედრთა ათასეულმა ფასიანი საღამოს მოწყობით: ხუთი მილიონ ექვსას სამოცდა ხუთი ათასი მანეთი: (5,665 ათ. მ.)
5. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ათი მილიონი მანეთი (10,000,000 მან.)

წითელი ჯარი თბილისის საბჭოში ერთსულოვნად ირჩევს მხოლოდ კომუნისტებს.

ცალკე საკავშირო და ცალკე მესანგრე ასეულმა ქალაქის საბჭოში გაგზავნა დეპუტატებად კომუნისტები. **მარკაროვი, ჯავახოვი,** კიკვიძე, ხოლო კანდიდატად ამხ. **ნანაშვილი** (უპარტიო).

ქართულმა სამხედრო შეერთებულმა სკოლამ საბჭოში აირჩია საპატიო წევრად **მიხა** ცხაკაია, დეპუტატებად არჩეული იქმნენ კომუნისტები: **ტალახაძე, ძნელაძე,** ლაპატინი, **მანჯგალაძე,** უპარტიონი: **კუზნეცოვი,** ადამიძე, კანდიდატებათ არჩეული იქმნა: **მიროთაძე, ყურაშვილი** (კომ. და შელია (კომკავშირის წევრი).

რაზედ სწერენ გაზეთები

პოლიტიკური მდგომარეობა დასავლეთში და განსაკუთრებით გერმანიაში ძალზედ დაძაბულია. საჭიროა ერთი ნაპერწკალი და გერმანიის ხალხის ხუთი წლის ნაგუბი უკმაყოფილება იფეთქებს. გუშინდელი დეპეშები მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ამ მხრივ.

„ინგლისის მუშათა პარტიამ და ტრედიუნიონების საბჭომ გამოაქვეყნა პროტესტი ინგლისის მთავრობის მიმართ, რომელმაც ნება დართო ფრანგებს გაევლოთ იმ ადგილებზე სადაც იდგნენ ბრიტანეთის ჯარები“.

იგივე დეპეშები გვამცნობს, რომ მიუხედავათ საფრანგეთის ხელისუფლების აკრძალვისა, მაინც ჩატარდა ნახევარი საათის გაფიცვა.

„გერმანელებს, ფრანგებმა ესროლეს ჯერ თოფებიდან და შემდეგ ტყვიისმფრქვეველებიდან, მიტომ რომ მათ იმღერეს საფრანგეთის საწინააღმდეგო სიმღერები“.

„დეილი მეილი“ს კორესპოდენტი იტყობინება: „რურის ოლქში ფიქრობენ, რომ თუ საფრანგეთის ჯარებმა არ შეაჩერეს წინსვლა და მიაღწიეს მიუნსტერს (ქალაქია), შესაძლებელია, რომ გერმანული რეისსვერი, რომელსაც საკმაოდ დიდი ძალა აქვს გაუწევს მათ თვალსაჩინო წინააღმდეგობას“.

როგორც მკითხველი ხედავს დიდი უბედურებაა მოსალოდნელი გერმანიაში. საინტერესოა რა ზომებს ღებულობენ ამ მხრივ ევროპის ეგრედ წოდებული მემარჯვენე სოციალისტები. ისინი იფიცებოდნენ, რომ თუ ომის საშიშროება აშკარა გახდა, ჩვენ სათანადოთ აღვიმაღლებთ ხმას ჯერ ჯერობით არ ისმის მათი ხმა. სიტყვა იმათია.



— **ბელგრადიდან მიღებულ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად ბერძნებმა დაიკავეს ადრიანოპოლი და კარაგაჩი.**

— **დორტმუნდის დაკავების შემდეგ, ფრანგების ჯარებმა დაიკავა ჰაგენი.**

— **გერმანიის ბირჟაზე სუფევს პანიკა, რურის წარმოებათა აქციების ფასები ეცემა.**

— **საფრანგეთის მთავრობამ გასცა ბრძანება რურის ოლქში ნახშირის რეკვიზიციის შესახებ. ბრძანება უკვე შევიდა ძალაში.**

— **გერმანიის მრეწველებმა გადასწყვიტეს დაიცვან წინანდელი პოზიცია და უარი სთქვან საფრანგეთის და ბელგიისათვის ნახშირის მიწოდებაზე.**

— **გერმანიიდან მიღებული ცნობით ნახშირის წარმოება რურში შემცირდა 20 პროცენტით.**

— **რეიტერის სააგენტოს ცნობით კონსტანტინეპოლში მოხდა შეტაკება ოსმალებსა და ინგლისის ჯარის კაცებს შორის.**

— **ინგლისელების ჰაეროპლანები ყუმბარებს უშენენ მოსულის რაიონს.**

რურის ოლქში.

შეტაკებები ბოხუმში.

— გაზეთების ცნობით ბოხუმში საფრანგეთის გენერალის დეგუტის ბინასთან გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაცია. დემონსტრანტებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს ჯარის კაცებმა ცეცხლი აუხსნეს დემონსტრანტებს, დაჭრილია რამდენიმე კაცი, მოკლულია ერთი.

ფრანგების მოქმედება.

— საფრანგეთის ჯარების წინსვლა გერმანიის საზღვრების შიგნით გრძელდება. განზრახულია მიუნსტერის ოკუპაცია. ლონდონში დიდ მნიშვნელობას აძლევენ დორტმუნდის ოკუპაციას, რომელიც წარმოადგენს სტინესის მთავარ შტაბს.

ფრანგების წუქარა,

— ინგლისის ბურჟუაზიული პრესის ცნობით გერმანიის მრეწველებს ეჩნევათ ფრანგებისადმი დათმობის სურვილი, რათა არ დაჰკარგონ მთელი მათი კეთილდღეობა. საფრანგეთის გენერალმა სიმონსმა განაცხადა, რომ თუ შემდეგში შახტების პატრონები გამოიჩენენ წინააღმდეგობას, ფრანგები ჩამოართმევენ კრუპის და სხვ. ფირმების ქონებას.

ნახშირის რეკვიზიცია.

— საფრანგეთის მთავრობამ გასცა ბრძანება რურის ოლქში ნახშირის რეკვიზიციის შესახებ. გერმანიის მრეწველებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მიაწოდონ ნახშირი, თუ განკარგულება რეკვიზიციის შესახებ იქნება უარყოფილი.

მაგრამ უკანასკნელად გერმანიის მწარმოებლებმა გადასწყვიტეს დაიცვან წინანდელი პოზიცია და უარი განაცხადონ საფრანგეთისა და ბელგიისათვის ნახშირის მიწოდებაზე, ამის გამო ბრძანება რეკვიზაციის შესახებ ძალაში შევიდა.

საფრანგეთის კომპარტია და რურის ოკუპაცია

— გაზ. „იუმანიტემ“ გამოუშვა მოწოდება რურის ოლქის ოკუპაციის და საფრანგეთის კომუნისტების დაპატიმრების წინააღმდეგ.

საფრანგეთის კომუნისტურმა ახალგაზრდობამ, ფრანგების ესსენში შესვლის წინ გამოუშვა პროტესტი ოკუპაციის წინააღმდეგ და მოუწოდებს ფრანგ ჯარისკაცებს გერმანიის პროლეტარიატისადმი სოლიდარობისაკენ.

იაპონიაში.

იაპონის სტუდენტთა შორის.

— იაპონიის მთავრობის მიერ კომუნისტების წინააღმდეგ წარმოებულმა რეპრესიებმა გამოიწვიეს მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ინტერესი სოციალისტური პრესისადმი. ტოკიოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაარსეს პროლეტარულ მოძრაობის დამხმარე საზოგადოება. ტოკიოში შესდგა არალეგალური ყრილობა იაპონიის სტუდენტებისა, იაპონიის გაზეთების ცნობით მთავ-

რობმ აღმოაჩინა რევოლიუციონური ორგანიზაცია სახელწოდებით: „ოქტომბრის საზოგადოება.“

რუსეთის მფრინავები რუმინიაში.

— რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილემ გარეშკომ დეპეშით აცნობა საგარეო საქმეთა სახ. კომისარის მოადგილეს ლიტვინოვს, რომ რუმინიაში დაპატიმრებული რუსეთის მფრინავები ოლეევი და სმირნოვი გადაეცა რუსეთის საზღვრის განაპირა ადგილების ხელისუფლებას.

ლოზანის კონფერენცია.

საკითხი სრუტეების შესახებ.

— მოკავშირეებსა და ოსმალეთის დელეგატებს შორის გრძელდება არაოფიციალური მოლაპარაკება სრუტეების და გალიპოლის საკითხის შესახებ, მოკავშირეები კვლავ ცდილობენ ჩამოაშორონ ოსმალები ამ მოლაპარაკებას

კაპიტულიაციის საკითხი.

— ოსმალეთის დელეგაციამ მიიღო ანგორიდან ინსტრუქცია დაიცვას შეურიგებელი პოზიცია კაპიტულიაციისა და სამხედრო ზარალის შესახებ საკითხებში.

სხვა და სხვა ამბები.

რუსეთი და ნორვეგია.

— საგარეო საქმეთა სახ. კომისარის მოადგილემ ლიტვინოვმა ნორვეგიის გარეშე საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა ნოტა შპიცბერგენის კუნძულზე უფლებრივი რეჟიმის შემოღების შესახებ. ნოტაში აღნიშნულია, რომ რუსეთი არ სცნობს პარიზის კონფერენციას, რომელიც დადებული იქმნა მისი მონაწილეობის გარეშე და ერთად ერთ საშუალებად შპიცბერგენზე უფლებრივი რეჟიმის შემოღებისათვის მას მიაჩნია საერთო შეთანხმება ყველა იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ აღნიშნულ ტერიტორიის საწარმოო ძალების განვითარებაში.

ამიერ-კავკასიის ცაკ-ის 1-ლი სესია.

სესიის გახსნა.

ამიერ-კავკასიის ცაკის სესია გაიხსნა 15 იანვარს საღამოს 7 საათზე

დარბაზი მორთულია გირლიანდებით და დამშვენებულია სხვადასხვა წარწერებით:

„ამიერ-კავკასიის ფედერაცია აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა გზის მაჩვენებელია“.

„გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას“.

„გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკების მძლე კავშირს“.

„ამიერ-კავკასიის მშრომელთა გაერთიანებული ჯარით ჩვენ მივდივართ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

და სხვა.

სხდომას ხსნის ამხ. მიხა ცხაკაია რომელიც მიმართავს ყრილობას მოკლე მისასალმებელი სიტყვით.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.

ამხ. მიხა ცხაკაიამ თავის მისასალმებელ სიტყვაში, აღნიშნა ცაკის მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების საქმეში. თვით გაერთიანება არის ნაბიჯი ყველა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებისაკენ. ამხ. მიხა ცხაკაია ჩერდება იმ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანებზე, რომელნიც სდგანან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის წინაშე და რომელიც უნდა განიხილოს ამიერ-კავკასიის ცაკმა. მის ბრძნულისა და მოფიქრებულ დადგენილებებზე არის დამოკიდებული მთელი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება ამიერ-კავკასიის მშრომელთა.

წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში.

სალიტერატურო სტუდიისაგან გამოტანილი დებულება სტუდიათა ხელმძღვანელების კრებაზედ.

მონობის დამცველი იყო ჯარი. ხალხის შვილი ჯარში გაწვეული ჯალათად ედგა ხალხის თავისუფლებას მხოლოდ შეუგნებლობის გამო. ჯარში სიბნელის დაცვა უწინდელ მთავრობისათვის ძირითადი დებულება იყო. ჯარში უნდა უფრო გაღრმავებულიყო შეუგნებლობა, რომ ის გამომდგარიყო ბრმა იარაღად. ყაზარმა აველურებდა გლეხს აჩვევდა სიზარმაცეს, ბანქოს, ლოთობას, გახრწნილობას.

თავისუფლობის დროს ჯარი უნდა ემსახურებოდეს ხალხს. რომ ემსახუროს, უნდა შეიყვაროს; რომ შეიყვაროს, უნდა გაიცნოს. ჯარი უნდა განვითარდეს. ჯარში მეტი სინათლე ძირითადი დებულობაა აწინდელ მთავრობისა. ჯარის სწავლება, ჯარის კლუბები ლოღიკური დასკვნაა.

კლუბებში მიღებულ იქმნას „სქემაში“ მოხსენებული საფეხურები ჯარის აღზრდისა. ამ საფეხურებს უნდა შეუფარდდეს ლიტერატურული სტუდიათა მუშაობა იმ კლუბებში, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვსთ, ჯარის ნაწილებთან.

„სქემაში“ მხოლოდ გეგმაა. ხელმძღვანელთ უნდა შეავსონ ის სათანადო კონკრეტული მასალით. აუცილებელია ხელმძღვანელთა მეტი განვითარება. ამისთვის უნდა იზრუნოს ცენტრალურმა სალიტერატურო სტუდიამ. საჭიროა წაკითხულ იქმნას იმ ხელმძღვანელთათვის და ვინც ემზადება ამ მიზნისათვის სისტემატიური კურსი ლიტერატურის ისტორიისა ხალხურის შემოქმედების თვალსაზრისით: დიდი ყურადღება მიექცეს ხალხურ ზეპირ სიტყვაობას და ლიტერატურაში იმ ნაწარმოებებს, სადაც იხატება ხალხის ცხოვრება და მისწრაფებები.

ცენტრალურ სტუდიასთან უნდა ექმნას კავშირი სხვა ქალაქებში არსებულ ლიტერატურულ სტუდიებს ხელმძღვანელთაგან კურსის თბილისში მოწვევით, ან ცენტრალურ სტუდიის ხელმძღვანელის პროვინციებში გაწვევით.

საჭიროა უფრო მკაფიოდ დაიხატოს სტუდიისაგან ლიტერატურაში ხალხის კეთილ-დღეობისათვის მებრძოლი ტიპები,

რადგან დრამატიულ ხელოვნებას პირდაპირი კავშირი აქვს ლიტერატურასთან, აუცილებელია ცენტრალურ სტუდიაში წაკითხულ იქნას ისტორია დრამატიულის ხელოვნებისა და გაირჩეს ნიმუშები

უნდა გარჩეულ იქმნას ცენტრალურ სტუდიაში ის ნაწარმოებნი, რომლებშიც ახლად იქმნებიან წარმოდგენილნი ჯარის სცენისათვის.

ცენტრალური სტუდია შიგადაშიგ ჰმართავს ლიტერატურულ საღამოებს თავისის ძალებით; ამ საღამოებზედ ესწრობა ჯარი.



პუანკარე

დასწყევლა ღმერთმა!!!.
ეს რუსეთი ყველგან ხელს მიშლის?!
იმდენს იზამს, რომ
ბელატ თავზე თმებსაც ამიშლის!!!

იმას რა უნდა
გერმანია, მე რომ დავარჩო?
მე მსურს ხელით ვიგდო
რურის ოლქის მდიდარი სარჩო!

ჩვენს წითელ ჯარში

წით.-არმიელების გაცილება.

შაბათს 13 იანვარს ქ. თბილისის და მიხი მაზრის სამხედრო კომისარიატმა დიდი პატივისცემით გაისტუმრა უვადო შვებულებაში გაშვებუ-

„გაპონის ავანტიურა“.

(ინსცენიროვკა).

მოქმედნი:

1) მღვდელი.
2) ვაჭარი.
3) ქალი.
4) მუშა.
5) რევოლიუციონერი.
6) გოროდოვოი.

მუშები, ხალხი, ბავშვები.

ფარდის ახდამდის სიტყვა 9 იანვრის მნიშვნელობაზე.

სცენა: პეტერბურგი. საზამთრო სასახლესთან ახლოს ქუჩა. ზამთარი. (რეჟისორზე ჰკიდია სცენის შესაფერისად მოწყობა). ისმის ხმაურობა, გალობა; „უფალო იხსენი ერი შენი“ „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს“ თითოოროლა ჩამორჩენილნი მიეჩქარებიან პროცესიისაკენ ხატებით, მეფის სურათებით და სამფეროვან დროშებით. ისმის ზარების რეკვა...

მღვდელი. (გამოდის. ხალხს.) მორწმუნენო! მიჰყევით მამა გაპონს. ის მიგიყვანთ პირდაპირ მეფესთან. მეფეს უყვარს თავის ხალხი ის მოიღებს მოწყალებასა მაზე!

ხალხი. (ზოგიერთნი) დაგვეხმარეთ მამაო. შეგვაწუხა შიმშილმა, სიცივემ, სიღარიბემ, დაგვეხმარე მამაო..

მღვდელი. ღმერთი იყოს თქვენი შემწე. აბა დროშები. ხატები, მეფის სურათები. იარეთ მწყობრად გალობით. ნუ აჰყვებით მარამზადა რევოლიუციონერებს, სოციალ-დემოკრატებს. ძალით ვერაფერს გახდებით. ისინი ყველა ურიებია, მათში დაბუდებულია ეშმაკი! (პირჯვარი). ხსნა სარწმუნოებაშია.

ვაჭარი (გამოდის), და „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“.

მუშა. (ხალხიდან მუშტით). გიცნობთ რა შვილებიც ხართ.

ქალი. გაჩუმდი. შე კრამოლნიკო. (ჩხუბი)

გოროდოვოი. (გაივლის) ნუ შეგროვდებით, დაიშალენით.

ვაჭარი. (უბის წიგნაკს აჩვენებს ჩუმად) ფრთხილად.

გოროდოვოი. (ხელს აუღებს) მაპატიეთ. (ხალხს). აბა ნუ შეგროვდებით, დაიშალენით. (გაივლის)

მღვდელი. (ჯვრით მაღლა) უფალი იყოს თქვენი შემწე შვილებო! მიჰყევით პროცესიას! (მიდის ხალხი. ისმის გალობა, ურა და სხვა.)

ვაჭარი. მამაო ნიკიფორე, ვგონებ საქმე კარგათაა, ხალხი ჩვენ გვიჯერის.

მღვდელი. გაკურთხოს უფალმა შვილო.

ვაჭარი. ჩვენს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“ საქმე რიგზეა. ჩვენი რაზმელები აერევიან ხალხში. და თუ ვერ მოხდა საქმე ისე, როგორც საჭიროა, მერე თითონ იციან.

მღვდელი. როგორ?!

ვაჭარი. ვნახოთ ჯერ, იქნება მეფემ უწყალობოს რამე შეღავათი ამ მუშებსა და ამითი დავცეთ მათში გავლენა სოციალისტებისა, მეტადრე იმ შეურიგებელ და ჯიუტ ბოლშევიკ-სოციალ-დემოკრატებისა. მუშები მათ უჯერიან მარტო. და მოუწოდებენ მუშებს რათა არ გაჰყვნენ გაპონს, რადგან იციან, რომ გაპონი ჩვენია. ვიღაც გადარეული ალექსინსკი მიუძღვის მათ. ისინი სცდილობენ პროცესიის ჩაშლას. თუ ვინიცობაა არ დაიშალეს და აღმართეს სადმე წითელი დროშა, მაშინ ჩვენი კავშირელთაგანი გაისვრის რევოლვერს და (კმაყოფილებით) შემდეგ, ხომ იცით რა მოხდება? ხე! ხე! ხე!

მღვდელი. ხა! ხა! ხა! ეშმაკმა წაგიღოს ფადეი ანდრეიჩ, ეშმაკმა. (ჯიბიდან არყის ბოთლს იღებს გახსნის, დალევს და გადააწვდის). აბა, შეხურდები, ცივა.

ვაჭარი. აბა ქეიფი მერე ნახე და! (გადაჰკრავს და ბოთლს უკან გადაისვრის) მერე და მამაო ნიკიფორე (საიდუმლოთ) ამ საქმის მოწყობისთვის იცით რამდენი ათასი არიან დაპირებულნი?! ხე! ხე! ხე! ჰო, რას ვამბობდი?! ჰო, ყველაფერი რიგზეა მეთქი, ჯარი საზამთრო სასახლის წინაა ჩამწკრივებული და რა განზრახ სროლას გაიგონებენ, მერე...

მღვდელი. კარგია, მაგრამ, ამბობენ ჯარშიაც იკიდებს ფეხსა ეს შეჩვენებული მოძრაობა.

ვაჭარი. შენ მამაო ნიკიფორე მაგისა დარდი ნუ გაქვს. იქაც გვყავს ჩვენები... თვალ—ყურს ადევნებენ... დახვრეტა და და მათი ჯანი!.. მაგრამ სუ! ვიღაცანი მოდიან, წავიდეთ შევერიოთ ხალხში. (გადიან).

ქალი. (შემოდის და ხახელოთი ეწევა მუშას) მოდი მეთქი კაცო მეფე არ დაგვტოვებს უმოწყალოდ, მამა გაპონი მიგვიძღვის წინ.

მუშა. ო, რა სულელი ხარ დედაკაცო! აბა, როდის იყო რომ ნებით იძლეოდენ რამეს. რა შეუძლიან იმ წვერ ცანცარა გაპონს?

ქალი. არა და თქვენ სულელ სოციალ-დემოკრატებს შეუძლიანთ. წამო, დაიჭი ეს ხატი. ვაი—მე სადაა ჩვენი ბიჭიკო? კოლია!!! მოდი აქა შვილო, ხალხმა არ გაგჭყლიტოს. (ხალხი განუწყვეტლივ მიდი—მოდის და მათ შორის გოროდოვოი, რომელიც არ აძლევს ნებას შეჯგუფებისას).

გოროდოვოი. ნუ შეგროვდებით, დაიშალენით. (გაივლის)

რევოლიუციონერი. (გამოვა ხალხიდან) ამხანაგებო, შეჩერდით. ნუ ეგებით მატყუარა მღვდლის ანკესზე. თხოვნით ვერაფერს მიიღებთ. სად მიდიხართ ხატებით, მეფის სურათებით და სამფეროვან დროშებით?! ხსნა მხოლოდ ბრძოლაშია, ბრძოლაში ჰპოვებთ თქვენს უფლებას, პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დავლეწოთ იარაღის მაღაზიები და საწყობები. შეიარაღდით! აი ხსნა! ამის აღმოდებულ ფრიალში და ჩვენს მჭიდრო ერთობაშია ძალა, შევუერთდეთ ჩვენებს. (პალტოს ქვეშიდან ამოიღებს წითელ დროშას და აწევს. ზოგიერთები რევოლვერებს მოამზადებენ.) გაუმარჯოს რევოლიუციას! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას! მომყევით!!! (გაისმის „გაუმარჯოს!“ და „მარსელიეზა!“ მიდიან).

გოროდოვოი. ეგ რა არის თქვე ბუნტოვჩიკებო! დაიშალენით! (გამოეკიდება, მაგრამ, ერთი მუშათაგანი ხელსა ჰკრავს და გადააყირავებს) ოი, თქვე მეფის მტრებო!!! (გავა მეორე მხარეს)

ქალი. (მუშას) ჰა, რამ ჩაგაფიქრა? თუ თხოვნით არაფერი გამოვიდა ბრძოლაც შემიძლიან.

მღვდელი. (გამოდის) ნუღარ იგვიანებთ შვილებო, მიდით ჩვენს მფარველ მეფესთან, იგი შეიწყნარებს თქვენს თხოვნას. მამა გაპონი მიგიყვანს თქვენ.

ვაჭარი. (გამოჩნდება) წავიდეთ მამაო ჩვენცა და უყუროთ. ამოფარებით, რა მოხდება, (გადიან. ისმის „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს.“ სცენა ცოტა ხანს ცარიელია, მარტო გოროდოვოი გამოჩნდება ხოლმე დროგამოშვებით. გაისმის ურა, გალობა, შემდეგ ყრუ გუგუნი. გავარდება რევოლვერი მას მოჰყვება ზალპი რამდენჯერმე. ყვირილი, ძახილი, კვნესა. გარადავოი დარბის დამფრთხალი და უთავბოლოდ ისვრის. ხალხი გამორბის. ეცემიან, კვნესიან ზოგიერთი დაჭრილები. ზოგი კვდება და სხვა. ისმის ხმები: „მეფემ არ მიგვიღო“ „გაპონმა მოგვატყუა“ „თავს უშველეთ“ „ჯარი

ლი თავის წითელ არმიელები, დაბადებულნი 1900 წ.

სამხედრო კომისარიატის სასადილოში საღამოს 9 საათზე გაიმართა ვახშამი. 10 საათზე, ვახშმის დაწყებამდის სამხედრო კომისარმა ამხ. კობიძემ მიმართა წითელ არმიელებს ვრცელი სიტყვით, აუხსნა მათი მოვალეობა სოფლად და სხვ. მომხსენებელის სიტყვა იქმნა დაფარული ინტერნაციონალის სიმღერით და ვაშას ძახილით. ამის შემდეგ წითელ არმიელების მიერ იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია „ჩვენ, ქალ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის, წითელ არმიელები გაშვებულნი უვადო შვებულებაში, ჩვენთვის საპატივცემულო გამართულ ვახშამზე, მოვისმინეთ რა დარიგება ჩვენი საყვარელ ამხანაგის სამხედრო კომისრის კობიძესი, ფიცსა ვსდებთ წითელ ლაშქრის წინაშე, რომ როგორც აქ წითელ არმიელების რიგებში ორი წლის განმავლობაში ვიდექით მუშურ-გლეხურ მთავრობის ინტერესების სადარაჯოზედ, ისე სოფლებშიაც ვიქნებით მათი მტკიცე დარაჯი. და თუ კვლავ ვიქნებით საჭირო, პირველ გამოძახილზე ჩვენ მათ ვიქნებით თოფით ხელში მსხვერპლად შევწიროთ თავი ჩვენ მუშურ-გლეხურ მთავრობას. გაუმარჯოს წითელ ლაშქარს და მის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას“.

რეზოლიუციის შემდეგ დაურიგდათ მათ უბის წიგნები და თითო ჟურნალი „წითელი ვარსკვლავი“ შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელიც დიდი სიმხიარულით დამთავრდა და ყველანი დაკმაყოფილებულნი დაიშალნენ.

არ. ვადლესიანი.

რევოლიუციიდან.

ცეცხლის ვულკანმა გადაიველო ზღვა და ხმელეთი
შავი ქაოსი ჩამოიმსხვრა მოკვდა წყვდიადი,
ჯოჯოხეთური ცეცხლის ბგერამ გადასწვა ჟამი
ძველს ნანგრევებზედ ამოსცურდა სხივი დიადი.

ცეცხლის რაშებით დაირაზმა ბრძოლის ქარცეცხლი
გაბრწყინდა დილა-კვდება ღამე შავ-დრო მოჭმული,
შავი სასახლე ინარცხება კვდება ტირანი
მძლე გველაშაპი სულსა ღაფავს გულგანგმირული.

დაიმსხვრა კერპი, ძველი ღმერთი ძველი ძიება
და გაგიჟებულ ბრძოლის წყურვილს აღარ აქვს ბოლო
ხალხი ზე აღზდგა, ხალხი იბრძვის, ხალხი აზვირთდა
მან დაისახა სულ ახალი მრწამსი სიმბოლო.

ცეცხლის ვულკანმა გადაიველო ზღვა და ხმელეთი
შავი ქაოსი ჩამოიმსხვრა მოკვდა წყვდიადი,
ჯოჯოხეთური ცეცხლის ბგერამ გადასწვა ჟამი
ძველს ნანგრევებზედ ამოსცურდა სხივი დიადი.

გოგიტო ციმბირელი.

ბრძოლა ბანდიტების წინააღმდეგ.

სამასწავლო ძირითად ათასეულს სექტემბერში მოუხდა ბრძოლა ჩოლოყაშვილის ბანდასთან. ბრძოლა სწარმოებდა ჩვენთვის მეტად არა ხელსაყრელ პირობებში, ბანდიტები გამაგრებულნი იყვნენ მიუვალ მთებში, მაგრამ ჩვენმა მამაცმა ჯარმა გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებები გაანადგურა და გაჰფანტა კონტრრევოლიუციონერთა ბრბო და ხალხში აღადგინა წესიერება. ამის შემდეგ ჩვენი ათასეული დაბრუნდა ტფილისში, ოქტომბერში დანიშნულ იყო გამოცდები. გამოცდების შედეგი ფრიად დამაკმაყოფილებელი იყო. ამხ. ლექვთაძემ მადლობა გამოუცხადა უფშემადგენლობას და ყველა წ. არმიელებს. შემდეგ ჩვენს ათასეულს მოუხდა გამგზავრება გურიაში ყაჩაღთა ბრბოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ათასეულმა თავისი მოვალეობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისადმი აქაც პირნათლად შეასრულა და აქაც უკვე მოხდა ლიკვიდაცია ყაჩაღთა ბანდებისა.

სამხკორი **ხუციშვილი.**

ცხენოსანლეგიონში მუშაობა გამოცოცხლდა.

ცხენოსან ლეგიონში ამ უკანასკნელ დროს დაეტყო გამოცოცხლება მუშაობაში მაგალითად, როგორც სამწყობრო ისე პოლიტიკური მეცადინეობას მიეცა სისტემატიური ხასიათი. ასეთი მდგომარეობა კი ამდენ ხანს არ ყოფილა. წერა კითხვის უცოდინართათვის არის ყოველ დღიურ მეცადინეობა. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ზემდეგების მიერ ინიშნებიან წერა-კითხვის უცოდინართა განწესებაში, რაც უსათუოდ ხელს უშლის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს. სააღმშენებლო კომისიამ ბევრი რამ გააკეთა ამ ერთი თვის წინად და ბევრიც გასაკეთებელი აქვს.

სწარმოებს ყაზარმების რემონტი და მოწყობა ყოველ მხრივ, რათა ახალ მოწვეულ წითელ არმიელებს დახვდეს კარგი ბინა. **ქარხ.**

მადლობის ღირსია ასეთი ექიმები და უფროსები

4 იანვარს ქ. თბილისის 1-ლ გამასწორებელ სახლში, როდესაც დანიშნული იყვნენ დარაჯებათ თბილისის მც. მხლებელთა ათასეულის წითელი არმიელები, იქ მოხდა უცარი შემთხვევა. ერთ ამხანაგს გაუვარდა თოფი და მოხვდა მეორეს თავში, რომელიც მძიმეთ დაიჭრა. დაჭრილი სასწრაფოთ წაიყვანეს საავადმყოფოში. დიდი დახმარება გაუწიეს ავადმყოფს მორჩენაში, ექიმებმა ბარამიანცმა და მისმა ამხანაგმა და აგრეთვე ხშირხშირათ ნახულობდენ ავადმყოფს ათასეულის თავის თანაშემწე ამხ. გუგუშვილი და სამხედკომი გიორგაძე. რისთვისაც მადლობის ღირსი არიან ექიმები და ჩვენი ამხან-გებიც, რომლებმაც ხელი შეუწყეს ავადმყოფის გაჯანსაღებას..

სამხკ: **მაჩიტაძე.**

კულტურული მუშაობა

ჰიგიენაზე ლექციებს ვისმენთ.

16 იანვარს წითელ- არმიელთა უნივერსიტეტში, ელექტრონის მკრთალი შუქი აბნევდა სხივებს, ოდესღაც ჯანმრთელს, მებრძოლ, სიცოცხლის მუდამ მსურველი ადამიანის ჩონჩხს, რომელიც გაჭიმულიყო აუდიტორიის წინა ნაწილში, დაკრიჭა ოდესღაც ლამაზი კბილები და თითქმის ასე გვესაუბრებოდა: „შეისწავლეთ ჰიგიენა, დაუთმეთ ფართე გზა მეცნიერებას, იზრუნეთ თქვენს გაჯანსაღებაზედ, რომ უდროოდ არ გამოესალმოთ წუთი-სოფელს“, ამას გვეუბნებოდენ ცივ კედლებზე გამოფენილი სურათები, ბრწყინავი ელექტრონის ზურმუხტოვან შუქში, გამომხატველი სნეულებათა საწინააღმდეგო საშუალებისა. რამოდენიმე ხნის შემდეგ სიჩუმით მოცული ოთახი აჟრიამულდა მცირე ჯგუფით წითელი მეომრებისა. ჟრიამული შესწყვიტა სუსტ—შუა-ტანის შავ-წვერულვაშში, ლექტორის წკრიალა ხმამ. ლექცია დაიწყო რუსულ ენაზედ ფრიად გასაგები სიტყვებით. მან გვესაუბრა ადამიანის სხეულის ნაწილებზე, ახსნა მათი დანიშნულება და ზოგ ალაგას დაურთო უდროოთ დასნეულების მიზეზი ამა თუ იმ სხეულის ნაწილისა და მისი განსაკურნავი საშუალებაც. ლექტორმა ლექციის გათავების შემდეგ განაცხადა შეკითხვების მიღების სურვილი; რამოდენიმე კითხვების გარჩევის შემდეგ ერთ კუნჭულიდან ისმის ასეთი შეკითხვა, სუსტი რუსული ენით—უკაცრავათ ამხანაგო, რუსულის სუსტათ ცოდნის გამო მიიღებთ შეკითხვას ქართულ ენაზე-ო? ლექტორმა თავაზიანათ გასცა პასუხი ქართულათ, მაგრამ ერთმა კუთხეში მდგომმა მის შესახებ განაცხადა პროტესტი. მაგრამ ჩვენ ვიტყვით რომ ძლიერმა რუსეთის მუშურ გლეხურ მთავრობამ შესძლო ჯარში კულტურის სათანადო საფეხურზედ დაყენება და მისცა წითელ არმიელებს საშუალება ზნეობრივად და გონებრივად მაღლა დადგომის. ეხლაც რასაკვირველია თუ არის თითო ოროლა გაუთლელი პიროვნება წითელ ჯარში, იმედია ამას მოუღებს ბოლოს წითელი კულტურა და შთააგონებს მათ რომ, ენა რომლითაც ლაპარაკობს მშრომელი ხალხი ამა თუ იმ ქვეყნისა უნდა იქნეს დაცული, რათა გავიგოთ სულის კვეთება შეუგნებელ ტვირთ ქვეშ მოკაკული მუშისა, მის მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

მაშ გაუმარჯოს ცოდნას! კულტურას! და ფაქიზ ზნეობას წითელ ჯარში.

წ. არმ. **დიმ. კახნარელი.**

გესვრის.“ შემოდიან ქალი და მუშა—დაჭრილი).

ქალი. ვაიმე შვილო! **სად მომიკლეს** კოლია!

მუშა. ხომ გითხარი ფროსია, რომ არაფერი გამოვა მეთქი!.. არ დაინდეს არავინ, არც კაცი, არც ქალი, მოხუცი და ბავშვები...

ქალი. ღმერთო, ეს რა რისხვა მოგვევლინა. ვაი—მე შვილო, კოლია. დაჯექი. ამით მაინც შეგიხვევ. (თავშალს მოიხსნის და უხვევს ჭრილობას). ღმერთო! რა ნახეს ჩემმა თვალებმა! ხატებსაცკი ესროდენ.

მუშა. ხატებს თუ რამე ძალა აქვთ აბა რატომ არ გამოიჩინეს?

ქალი. სუ! ღმერთს ნუ სცოდავ. ვაიმე შვილო! მკვდარი მაინც ვიპოვნო.

მუშა. აბა სად მიხვალ დედა-კაცო! ემანდა სისხლი გდის შენცა. (კანტიკუნტი სროლა, კვნესა. ქალი გადის). ოო, ჯალათებო! სისხლის მსმელებო!..

გოროდოვოი. (შემოდის) აჰა აქედან (ძალით აგდებს) მიიდე კარგი საუზმე?! ხა! ხა! ხა! (გადის).

რევოლიუციონერი. (ორ მუშას შემოჰყავს მხრებით, დაჭრილი.) ო, საყვარელო ამხანაგებო! ისტორია გაასამართლებს გაპონებსა და თვით ღმერთებსაც. გახსოვდეთ ამხანაგებო. ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა! აი მე ვკვდები ამხანაგებო და თქვენ განაგრძეთ ეს ძნელი გზა. არ გაივლის ათი—თორმეტი წელიდა თქვენ ნახავთ აი ამავე, მოედანზე, სადაც დაიქცა შეუგნებლად, უმანკო სისხლი მშრომელი ხალხისა—აფრიალდება წითელი დროშა პროლეტარული რევოლიუციისა. აი თითქმის ვხედავ მის ნათელ და შარავანდედით მოსილ სახეს. გაუმარჯოს ინტერნაციონალს! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას! ოოო... აჰ... (კვდება. ყველანი ქუდებს მოიხდიან და წითელ დროშას ზედ გადაფარებენ დაჩოქილნი და ხელის გაწვდით, უხმოთ ფიცსა სდებენ ცხედარზე. დაბნელდება).

სურათი

გაისმის ხმა: „და 17 წელი, ოქტომბერი!“

შემდეგ ლექსი:

იქ, სად ოდესღაც მონობა მღერდა,
და იქცეოდა სისხლი ქუჩებზე,
სიკვდილი შავ—ფრთა ხარხარით მზერდა,
და ხმალს ლესავდენ მშრომელ მუშებზე—
ეხლა წითელი ფრიალებს დროშა
და ყველა ხედავს ხდება აქ თუ რა!
მაშვრალთა რაზმმა ჰკრა ქუსლი დრო შავს
და განამტკიცა მძლე დიქტატურა!

(განათდება წითლად. ერთმანეთზე ყრიან მეფე—სკიპტრით, ბურჟუა—ჩოთქით, თავადი და მღვდელი ხატით. ზედ შემდგარან გამარჯვებულნი: მუშა, გლეხი და მხედარი წითელი დროშით, ნამგლით თოფით, ჩაქუჩით, ჩირაღდნით. უკან, მაღლობზე ქალი თეთრებში. მწვანე რტოთი ხელში.

ისმის „ინტერნაციონალი“

ფარდა.

სიუზანა.

(ჩვენი ჯარის კლუბებს ევალებით დასდგან 9 (22) იანვრისათვის).

სად ბუნაგობს ტიფი?

სანამ საკუთარი ტილი არ გიკბენს, მანამ უბედურებას ნუ მოელი.

ხალხში არის გავრცელებული ერთი ცრუმორწმუნოება: თუ ადამიანი დატილიანდა, თუ ის უეცრივ დაჰკბინეს ტილებმა, მაშინ მის თავზე აუცილებელია რაიმე უბედურება. ხალხური თქმულება ამის შესახებ ამბობს: სანამ საკუთარი ტილი არ გიკბენს, მანამ უბედურებას ნუ მოელიო.

რა თქმა უნდა ხალხი ამ შემთხვევაში ტილების თანამგზავრ პარტახტიან და შებრუნებითი ტიფებს არ გულისხმობდა. როცა ხალხი ამ ანდაზას სთხზავდა, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ტილს შეუძლია ტიფის გავრცელება. ის ელოდა უბედურებას და მართლაც მასთან ერთად მოევლინებოდა მას სხვა და სხვა გადამდები სნეულებანიც.

ტილიანობა ადამიანის დაბეჩავების, დაჩაჩანაგების თანამგზავრია.

როდესაც ადამიანი განიცდის მეტად მძიმე სამეურნეო ცხოვრების პირობებს, ან და მისი ჯანმრთელობა თანდათან ილევა ხანგრძლივი ავადმყოფობის წყალობით, მაშინ მისი სული დაბეჩავებული და განადგურებულია. დაბეჩავებული კაცი კი ყოველმხრივად ხელს უშვებს სრულიად ყურადღებას არ აქცევს თავის თავს სისუფთავის დაცვაში და სწორედ ამ დროს ტილი ნახულობს ადამიანის კანზე და ტანთსაცმელზე საუკეთესო საცხოვრებელ ბინას და გამრავლების საუცხოვო პირობებს. ასეთი ადამიანი მუდამ მწუხარე ფიქრებით არის შეპყრობილი, ის ხდება ყველაფერზე გულგრილი და დაბნეული, ათას გვარ შეცდომებს უშვებს თავისი მოქმედების დროს, ეპარება ყოველი მნიშვნელოვანი მომენტი მუშაობაში და ის მართლაც მსხვერპლი ხდება აუარებელ უბედურებათა. ამნაირად ხალხურ ანდაზაში სრული სიმართლით არის აღნიშნული დატილიანების და მოვლენილ უბედურებათა შორის კავშირი, მაგრამ მათ დამოკიდებულებას კი ვერ ხსნის ხალხი სისწორით.

ტილიანობაც და მასთან დაკავშირებით მოვლენილი უბედურებანი იმ ღრმა მივიწყების, სიღარიბის და გაუნათლებლობის შედეგებია, რომლებშიაც კაპიტალიზმმა ჩააგდო ჩვენი სოფლები და ქალაქის განაპირა ნაწილები.

სადაც ტილებია იქაც პარტახტიანი და შებრუნებითი ტიფებია.

მცხოვრებთა სიღარიბე და დავიწყებას თან ახლავს მათი დატილიანება, ხოლო ამ დატილიანებას მჭიდრო კავშირი აქვს პარტახტიანი და შებრუნებითი ტიფების გავრცელებასთან. აქ უკვე აღნიშნული იყო, რომ ტიფები ვრცელდება ტილების საშუალებით. შევჩერდეთ უფრო ვრცლად ამ გარემოებაზე. საკმარისია დატილიანებულ ოჯახში, ერთ ერთი პიროვნების ტიფით ავად გახდომა, რომ მთელი ოჯახი მოეფინოს ტიფით.

მეცნიერებისაგან დამტკიცებულია რომ ტილი ტიფით ავადმყოფისადმი კბენის და სისხლის მოწოვასთან ერთად, თან იწოვს ტიფის ბაცილებს. შემდეგ კარგათ მყოფ ადამიანზე გადასვლით და მისი კბენით გადააქვს მასზე თავისი ნერწყვით ტიფის ბაცილები და სწამლავს მას. აგრეთვე ტიფი გადადის კანის იმ ადგილების მოფხანით, სადაც დაჰკბინა ტიფის ბაცილებიანი ტილი. პარტახტიანი და შებრუნებითი ტიფები მხოლოდ ასეთი საშუალებით ვრცელდებიან ე. ი. სხვანაირად ტილის საშუალებით.

ამიტომ გასაგებია, თუ რატომ არის ტიფები, ღარიბი და დაბეჩავებული ხალხის მუდმივი სტუმარი.

ტიფები უკულტურო ქვეყნის ავადმყოფობაა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მიუხედავად იქ არსებულ კაპიტალიზმისაგან გამოწვეულ ჩაგვრა-მონობისა, მიუხედავად უმუშევართა და გაღატაკებულთა მთელი არმიისა, ტიფის ავადმყოფობით შემთხვევა იქ ან სრულიად არ არის, ან და ძალიან იშვიათი მოვლენაა. ნუ თუ ეს გასაოცარი არ არის, რომ წარსულ იმპერიალისტურ ომის დროს, რუსეთის არმიაში პარტახტიანი ტიფი უფრო მეტ ჯარისკაცებს ხოცავდა, ვიდრე მოწინააღმდეგის ყუმბარები, როცა საფრანგეთის ჯარში პარტახტიანი ტიფის, მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, ამ დროს. აქ აშკარაა რომ გარდა სიღარიბისა, ტიფის გავრცელებას ხელს უწყობს კიდევ სხვა მიზეზიც. სოფლებში ტიფი ერთნაირად სპობს ყველას, როგორც მდიდარს ისე ღარიბს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი კარგად სცხოვრობს და სუფთად ინახავს თავს, ხოლო უკანასკნელი კი ტიტველი დაიარება და შესაფერ თავის მოვლას მოკლებულია; ამის ახსნა სულ უბრალოდ შეიძლება: როგორც პირველი ისე მეორე და ყველა სოფლად ხამები არიან, ერთნაირად უკულტურონი და ერთნაირად არ არიან გაცნობილნი სისუფთავის დაცვის ძირითად წესებს.

გაუნათლებლობას მოაქვს ყველგან სიბინძურე და სხეულის უსუფთაობა, ხოლო „სადაც სიბინძურეა იქ ტილი აზნაურია!“ მაშ სადამე იქაც ტიფია.

ამიტომ: დასძლიეთ უგნურებას მოსპეთ სიბინძურე, განთავისუფლდით დატილიანებისაგან—და განთავისუფლდებით ტიფებისაგანაც.

პარტიული მუშაობა

ა. წ. 12 იანვარს შესდგა ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედის კრება ამხ. ნაბახტიანის თავმჯდომარეობით. მდივნობდა ამხ. ქუთიძე, დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხები.

1) გაწმენდის შედეგები.

2) სატელეგრაფო ასეულთან კომუჯრედის შეერთება.

3) დამატებითი არჩევა „პრეზიდიუმის წევრისა.

4) საბჭოთა არჩევნების შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ ამხ. ჯავახოვი კითხულობს გამორიცხულთა სიას, რომელიც იქმნა მიღებული ცნობისათვის.

მეორე საკითხის შესახებ ამხ. ჯავახოვი აღნიშნავს თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა სარგებლობას მოიტანს კომუჯრედების შეერთება. დაადგინეს გაერთიანებული იქმნეს კომუჯრედები და დაევალა ამხ. მელიძეს მოლაპარაკება სატელეგრაფო ასეულის მდივანთან.

მესამე საკითხის შესახებ დაადგინეს: ვინაიდან კომუჯრედის გაერთიანება აუცილებელია ამისათვის დარჩეს ისევ ძველი პრეზიდიუმი.

მეოთხე საკითხზე სამხკომმა გააკეთა მოხსენება, რომელიც იქმნა მიღებული ცნობისათვის.

დუბლიკატი.

სამხედრო საქმე

იერიში ტალღებით.

მოიერიშე ფეხოსან ჯარისათვის მოწინავე ხაზზედ ძლიერი ცეცხლის განვითარება საჭირო არ იქნება, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში მომგერიებლის ფეხოსან ჯარის საკუთარ ცეცხლით დაძლევის საჭიროება არ წარმოსდგება: აქ უნდა რაც შეიძლება ჩქარა და შესაძლო ნაკლები ზიანით გადაირჩინოს მტრის გადამღობი და განმანადგურებელი ცეცხლი.

ამ შემთხვევაში მოწინავე საბრძოლო ხაზებს ხშირად მოუხდებათ წინ გაკაფვა მრავალი ტალღებით, ერთი მეორისაგან დიდის ხანგამოშვებით და ცალკე მსროლელთა და ტყვიამფრქვევების გადამტანთა შორის ერთი ერთმანეთისაგან დიდ დაშორებით, ამასთან ყოველ ცალკე ტალღას მიენდობა განსაკუთრებული ამოცანა. პირველად ტალღამ საერთოდ, უნდა გაარღვიოს მოწინააღმდეგის მოწინავე ხაზი განსაზღვრულ წინდაწინ დანიშნულ მიჯნამდე, სადაც ის შეივსება მეორე ტალღით. შემდეგი ტალღები ნაწილობრივ გასწმენდენ დაპყრობილ მტრის თხრილებს და ამოსწყვეტენ ჯერ კიდევ იქ მყოფ მტერს; დანარჩენებმა რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა მიაწოდონ მასალა თხრილების მოსაწყობად, ვაზნები და ტყვიამფრქვევები, რათა დაპყრობილი პოზიცია, მაშინვე „შეეწყოს“ მოგერიებას.

თუ იერიში შეზღუდულია სიგანეზედ, მაშინ საჭიროა ცალკე დამკვრელ ნაწილებს მიენდოს მტრის მეორე ხაზების დაკავება ფრთებზე, ადგილობრივ მტრის კონტრ-იერიშის მოსაგერიებლად, დამოლოს ტალღებს მიჰყვებიან მაშველები, რათა შეძლებისამებრ, განავითარონ ნაწილობრივი გამარჯვება, განაგრძონ წინ შეტევა და საბოლოოდ უზრუნველჰყონ დაპყრობილი ადგილ-მდებარეობა.

თუ საქმე მდგომარეობს არა განსაზღვრულ ხაზის შენარჩუნებაში, არამედ მოძრავ მოგერიებაში, რომელიც ეცდება მოიერიშე აიძულოს უკვე მოწინავე არეში გაიშალოს, რათა იგი აქ შეარყიოს და მას შეებას გადამწყვეტ ბრძოლაში თავისი მთავარ ძალით, მაშინ ძალების სიღრმეში განაწილება და მათი წესრიგი უკვე სხვა გვარი იქნება. ეხლა ფეხოსანი ჯარი უნდა მოძრაობდეს რამოდენიმე დამკრავი ჯგუფით, რომელნიც გარიგებულნი იქნებიან სიღრმეში და, რომელთა რიცხვი მტრის მოწინავე მდებარეობის სიღრმისა, რიცხვისა და მის მოსაგერიებელ საშუალებათა სიძლიერესთან შეფარდებული.

გ. ბ.

ცოტა რამ ყველაფერზე.

ტანკები თუ ადამიანები.

ოქტომბრის რევოლიუციის სული მოსვენებას არ აძლევს კაპიტალის სამფლობელოებს. მეორე მხრივ საშინელი ფინანსიური კრიზისი მეტად ავიწროებს მათ. ყველა ეს ქმნის ისეთ მდგომარეობას, თითქოს მეშისა და გლეხის ომში მონაწილეობის მიღება შეუძლებელი ხდება და შეიარაღებულ ძალის მოწყობა უფრო იაფად უნდა დაჯდეს.

კაპიტალისტები ეძებენ გამოსავალს და უკვე მიაგნეს. ეს არის მანქანა.

ინგლისელი ოფიცერი ერთ ერთ ოფიციალურ ჟურნალში იძლევა თავის მოსაზრებებს.

ცხენოსანი ჯარი შეუძლებელია შეიცვალოს ტანკებით. მას მოჰყავს ციფრები კავალერიის ბრიგადის ანგარიშიდან (1,700 ცხენოსანი) შეიძლება შეიცვალოს ტანკების ერთი ბატალიონით (72 ტანკ.) კავალერიის ერთი ბრიგადის შენახვა წლიურად ჯდება 441,000 გირვანქა სტერლინგი. (რომელ გირ. სტ. უდრიდა 10 მან.) ძლიერი ტანკების ბატალიონის შენახვა დაჯდება 270,000 გირ. უფრო სუსტის 99,240 გირ. სტ. მსუბუქის—39,648 გირ. სტ. ტანკა გადის საათში 5—10 ვერსამდე.

მართალია თუ არა ეს სპეცი ტანკისტი, ამაში არ არის საქმე. მაგრამ ერთი რამ ცხადია: საზღვარგარეთი მართლა სერიოზულად ემზადება ჯარის კაცის როლი მანქანას შეასრულებიოს.

აეროპლანი უმფრინავოთ.

საფრანგეთში სცადეს მოიყვანონ ახალ ჰაეროპლანების გაფრენა—უმფრინავოთ. ჰაეროპლანზე ადამიანის როლს ასრულებს ელექტრონიული ტალღები. ამნაირად შესაძლებელი გახდა დამშვიდებულად ძალიან აპარატს შეასრულებინო ყოველგვარი მოძრაობა. ეს ცდები დაყენებულ იქმნა საფრანგეთის ქ. მარსელში.

ეს ახალი მიღწევა ავიაციაში, აუცილებლად დიდ როლს ითამაშებს მისი განვითარების [illegible].

ქართულ ისტორიულ განძეულობათა დაბრუნება

მთელი ქართული ისტორიული განძეულობა, როგორიც არის: ძველი ხელთნაწერები, ფულები, ოქროსი და თვალ მარგალიტებისაგან სხვა და სხვ ნაწარმოებნი, ძველი ხატები, სურათები და მრავალი სხვა არქეოლოგიური ძეგლები, თანახმად რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა შეერთებულ სხდომის დადგენილებისა, უბრუნდება უკანვე საქართველოს.

რ. ს. ფ. ს. რ. რკინის გზათა უწყების კომისარმა ამხ. ძერჟინსკიმ მოახდინა სასწრაფო განკარგულება, რათა დათმობილ იქმნეს უფასოდ საჭირო რიცხვი ვაგონებისა, ამ განძეულობათა გადმოგზავნისათვის საქართველოში.



ამხანაგებო,
არჩევნებია!
(გზები ხომ უკვე
ნაჩვენებია?!)

აირჩიეთ
მშრომელთ მცველები
თქვენი მოძმე და
მტერთა მცლელები

და კომუნისტებს
მიეცით თქვენ ხმა.
(ამას ხომ აბა,
აღარ უნდა თქმა?!)

სხვა პარტიებს—კი
არ უგდოთ ყური,
იმათ მაგარი
მუშტი, პანღური.

ლამნა.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. **ქარჩხაძელს**. თქვენი წერილი „სიმართლის თქმა სჯობია“ არ დაიბეჭდება.

ამხ. **ქურიძეს** თქვენი წერილი „ქალ. ოზურგეთში“ არ დაიბეჭდება.

ამხ. **შოლტს**. თქვენი წერილები „დაშნაკი ერევნიდან“ და თბილისის მცველ მხლებელთა რაზმის „პასიურების მიმართ“ არ დაიბეჭდება. უმჯობესია მოგვაწოდოთ კორესპონდენციები.

მ. **კავსაძეს** თქვენი წერილი „ჯარი და სახალხო სიმღერა გალობა“ არ დაიბეჭდება.

ამხ. **მაჩიტაძეს**. თქვენი კორესპონდენცია „კონფერენცია“ არ დაიბეჭდება, რადგან კონფერენციის მოკლე ანგარიშები უკვე იბეჭდება.

ამხ. **პაპოვს**. თქვენი წერილი „წითელ-ლაშქრის ორგანიზაცია“ არ დაიბეჭდება. უმჯობესია მოგვაწოდოთ კორესპონდენციები.

შეცდომის გასწორება. გაზ. „წითელ არმიელის“ № 191 გამშვებული არის კორესპონდენცია „**პარტიული მუშაობა პირველ ლეგიონში** უნდა იყოს. „პარტიული მუშაობა მეორე ლეგიონში“

უენო მეგობრები. წერილები ქართველ წითელ-არმიელებისადმი.

წერილი 3-მე

ყოველი ცოცხალი არსება საჭიროებს თავისებურ ჩაცმა-დახურვას, გაწმენდა-გასუფთავებას და ბანაობას. ადამიანი იცვამს ტანისამოსს, იცვამს ფეხსაცმელებს და იხურავს თავზე ქუდს ან ყაბალახს. ცხენი-კი, რომელიც ამ ჟამად ჩვენი წერილის საგანს შეადგენს, არ შეუძლია არც ქუდის თუ ყაბალახის თავზე დახურვა და არც თავისი თავის ტანისამოსით შემოსვა. ტანისამოსის მაგიერობას მთელ ტანზე მოფენილი ბალანი, ფეხსაცმელების მაგიერობას ნალები და ქუდის თუ ყაბალახის მაგიერობას ყურთა შუა გრძელი და სქელი ფაფარი. კაცი იცვლის ტანისამოსს, ფეხსაცმელებს, ქუდს თუ ყაბალახს ამ უკანასკნელთა დაცვეთ-დაგლეჯის შემდეგ, მანამდის-კი ხშირად სწმენდავს იგი მათ, ეცხავს, ამზეურებს და ყველა ამებთან ერთად თვითონაც ყოველ დილას პირსაც იბანს. მარტო ყოველდღიური პირის დაბანით არ კმაყოფილდება ადამიანი და თვეში არა ნაკლებ ერთი ორი გზობისა აბანოშიდაც მიდის და წვერ-ულვაშსა და თმასაც იკრეჭ ისწორებს. ცხენიც იცვლის თავისებურათ წელიწადში ერთხელ. სახელდობრ გაზაფხულზე, ბალანს, ანუ თავის ტანისამოსს, და ყოველი თვის თუ ექვსი კვირის ბოლოში ნალებს, ანუ თავის ფეხსაცმელებს.

ფაფარს ცხენი არასოდეს არ იცვლის და ამ თვისებითაც იგი ძალიან წააგავს ადამიანს, რომლის თავზე თმა, (თუ რამ ავადმყოფობა არ შეეყარა მას) ისეთივე მუდმივი და გამოუცვლელი რამ არის, როგორც ფაფარი ცხენის ყურთა შუა და კისერზე.

ბალანს ცხენს თვითონ ბუნება უცვლის, ხოლო რაც შეეხება გაწმენდას, დაჭედვას, დაბანას, ფაფრის და კუდის შეკრეჭ-შესწორებას, ექიმობას, კვებას და სხვას, ამ მხრივ ბუნებას ცხენი დიდ უმწეო მდგომარეობაში ჩაუყენებია და ყველა ამ მხარეების დაკმაყოფილება. სოფელში თუ წითელ ჯარში, ჩვენთვის ადამიანებისათვის, დაუვალებია, განა სამართლიანი არ არის ბუნების ასეთი განკარგულება? ჩვენი უენო მეგობრები, ჩვენი ცხენები, რატომ არ უნდა იყვნენ ღირსი იმისა, რომ ჩვენ იმათ მოუაროთ, გავსწმინდოთ დავბანოთ, ვუექიმოთ, გამოვკვებოთ და სხვა, თუ ისინი ყოველთვის მზათ არიან პატიოსნათ და უხმოდ შეასრულონ ყველაფერი ის, რასაც ჩვენ მათ დავავალებთ და რის შესრულება უმათოთ ჩვენ არასოდეს არ შეგვეძლია! ძლიერ დიდია ცხენის მნიშვნელობა მშრომელი ხალხისა და წითელი ჯარის ცხოვრებაში. დიდი უნდა იყოს ჩვენი ზრუნვაც ამ სამეურნეო და სამხედრო ძალის, ცხენის, ჯანმრთელობაზეც. მოუარეთ,-ამხანაგებო წითელ არმიელებო, თქვენს ცხენებს, რომლების უდიდესი მნიშვნელობა მშრომელი ხალხისა და წითელი ჯარისათვის ჩვენ უკვე კარგათ ვიცით ეხლა წინა წერილებიდან. დავიწყოთ აბა მათი მოვლის მოკლედ შესწავლა წმენდიდან და გავათავოთ მათი სხვა და სხვა ავადმყოფობით. რომლებიც ყოველ ნაბიჯზე წინა გვხვდებიან ჩვენ და არა ერთსა და ორ ცხენს უდროოდ სიკვდილსაკენ მიამგზავრებენ.

(შემდეგი იქნება)

ექიმი-ვეტერინარი: ფარეიშვილი.

კლ. და ზიგ. მომ. შეერ. კონფერენცია.

(გაგრძელება).

15 იანვარს კლუბის შტატებზე მოხსენება გააკეთა ამხ. ხუციშვილმა. აუცილებლად სცნეს შტატი კლუბის გამგისა მისი თანაშემწისა და იზ-სი, ორი მასწავლებლებზე უნდა ჩამოაკლდეს და მიემატოს კლუბს, რომელიც თავისათ განაწილებს.

კინოს შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ენგონიანმა სადაც უჩვენა კლუბის გამგეთ სანიმუშოთ ფარანი. შუქის გაზეთის და სხვა სურათების საჩვენებლად. „წითელ კუთხეთა“ მნიშვნელობაზე კედლის და შუქის გაზეთის შესახებ ილაპარაკა ამხანაგმა ეგიკოვმა რასაც მოყვა კამათი.

16 იანვარს მომარაგების შესახებ კვლავ ამხ. ეგიკოვმა ილაპარაკა. შემდეგ იყო კითხვები 1) მუშაობა უფშემადგენლობისა კლუბში“ 2)მიმდინარე საკითხები“ „1) მოხსენებები ადგილებიდან“ „4) მეთოდი მუშაობისა წრეებში, თეზისები ყველა მიიღეს. შემდეგ იქმნა კომისიები არჩეული, რომელთაც უნდა შეიმუშავონ თეზისები და რეზოლიუციები, რომელნიც უნდა წარედგინოს კონფერენციას დასამტკიცებლათ.

ამავე საღამოს კომისიები შეიკრიბენ და დაიწყეს მუშაობა.

17 იანვარს კომისიები განაგრძობენ მუშაობას. საღამოზე დელეგატებს გაუმართეს ვახშამი. 18 იანვარს წაკითხულ იქმნა რეზოლიუციები და ტეზისები.

კონფერენციის დასასრულს ამხ. ეგიკოვმა გააკეთა მოხსენება 9 იანვრის მნიშვნელობაზე, რომ იგი იქნას ჩვენს ნაწილებში ჩატარებული შესაფერისათ და სხვათა შორის დღევანდელ ჩვენი გაზ. №-ში მოთავსებულ ინსცენიროვკაზე მიუთითა, რომ ისარგებლონ იმით.

დასასრულს გადაღებულ იქნა სურათი. კონფერენცია დაიშალა ნაშუადღევის 2 საათზე.

რეზოლიუციები გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

სანი.

ნ. დ. ს. ც.
ტირაჟი 1500.
პასუხის მგებელი რედაქტორი ვ. ქუთათელაძე.